რედაქცია
სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზე.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

ამ ნომერში თორმეტი გვერდია

ქუთაისის ბიბლიოთეკა



## ჟურნალი „ივერია“

(წელიწადი მერვე)

მომავალ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თვეს და თვეე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება

თბილისში: შავერდოვის სააგენტოში და «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, სადაც ზედა სართულში «დროების» რედაქციაა და იქვე, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ფასი მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი: Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «Иверія».

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

21 ნოემბერს.

ბერლინი. რუსეთის ოქროს რენტის გამოცემამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ბერლინის ბირჟაზე; კრედიტის მანათებს და ყველა რუსეთის თანხებს ფასი მოემატათ.

გერმანიის ელჩი წინაშე რუსეთის სასახლისა შვეინიცი ნახავს ბისმარკს ფრიდრიხსრუეში.

მადრიდი. მეფემ პასუხად მისწერა იმპერატორს ვილჰელმს ტელეგრამა, რომელშიაც დიდს მადლობას და ერთგულობას უცხადებს თანაგრძნობისათვის.

პორტსმუთი. აქედამ გაგზავნეს ჩინეთისაკენ 900 კაცი ქვეითი ჯარისა და არტილერიისა ინგლისის სტანციების განსაძლიერებლად.

ლონდონი. სპარსეთიდამ ამბავი მოვიდა, რომ სამი გუნდი თურქმენებისა შეცვივდენ სპარსეთის სამფლობელოში და მეშხედისაკენ მიდიან; ერთი გუნდის მოთავედ ფანატიკოსი კაფ-სეიდი არის. უწინდელი ავგანის ემირი ეიუბ-ხანი მალე ბუხარაში წავა.

22 ნოემბერს.

პეტერბურგი. ახალს რენტას ბევრნი აწერენ ხელს; უცხო ქვეყნებიდამაც ბევრნი თხოულობენ.

გაზეთები იუწყებიან, რომ მომავალი წლისთვის ნავოსნობის გასაუმჯობესებლად 1,075000 მანეთია დანიშნული.

გუშინ გაიხსნა ალექსანდრეს სახელობისნო სასწავლებელი, რომელიც ებრაელთა საზოგადოებამ დააფუძნა განსვენებული ხელმწიფის სახსენებლად; რაბბინმა თავის სიტყვაში მოიხსენია ყველა ის სიკეთენი, რაც ებრაელთ მიენიჭათ წარსული და აწინდელი მეფობის დროს.

ინგლისი. ჰავასის აგენტობა იუწყება, რომ ინგლისს, გერმანიას, რუსეთს, საფრანგეთს და შეერთებულ შტატებს გარდაუწყვეტიათ გაგზავნონ ჩინეთის წყლებში პატარა საომარი გემების ფლოტილია თავიანთ ქვეშევრდომთა სიცოცხლის და ქონების დასაცველად.

ბერლინი. გამოჩენილი მოგზაურის პაიერის სიკვდილის ამბავი ტყუილი გამოდგა.

კაირო. ამბავი მოვიდა, რომ ცრუწინასწარმეტყველთან ბრძოლაში დაიღუპა მხოლოდ ერთი ნაწილი ეგვიპტის ჯარისა; დანარჩენი ჯარი დაბანაკდა რახადომთან და მოშველე ჯარს მოელის; ეს ამბავი ნამდვილია თუ არა, ჯერ კიდევ არ დამტკიცებულა.

## ქართული საეკლესიო გალობა და სიმღერები ნოტებით

ამ უკანასკნელს დროს ძლიერ გახშირდა ქება ბატონის ჭორიძისაგან გადაღებულს ნოტებზედ და ამ საშუალობით გადაღებულს ქართულს საეკლესიო გალობაზედ და სიმღერებზედ.

ფრიად სასიამოვნოდ დამრჩა ეს ამბავი; ვინატრი ამ გალობის გაგონებას და მასთან იმასაც, რომ ჩვენს ქართულს საეკლესიო გალობას არ მოჰყვეს იტალიური კილო, რომელსაც იგი ვერ შეითვისებს.

სიმღერა—სხვა არი; სიმღერას კილო რომ შეეხაროს იტალიურად, იმითი არც მოირყვნება და არც გაპატიოსნდება, თუმცა სანატრელიკია, რომ საქართველოს სიმღერებიც,—თუ შეიძლება,—თავ-თავის კილო-

«დროების» ფელეტონი, 24 ნოემბ.

## ციცია *)

(მოთხრობა)

ის იყო სულთის ხანჯალი უნდა გაეყარა ბეჭებში, როდესაც ყვირილზედ მოცვივნულმა ხალხმა მკლავი დაუჭირა და თემურყო გაანთავისუფლა. თემურყო წამოდგა და გაყვითლებულის, შიშით დამახინჯებულის საზიდგან ცივს ოფლს იწმენდდა.

ის ჯერ გონს ვერ მოსულიყო და ვერ მამხვდარიყო, სულთი სიკვდილს რად უპირებდა?

ხალხი ელაპარაკებოდა სულთის, ამშვიდებდა, მაგრამ სულთი მხოლოდ ერთს გაიძახოდა:

— თემურყომ ძმა დამიჭრა, მაგას ჩემი სისხლი მართებს!

მოვიდენ მოხუცებულები და გაიმართა შუა-კაცობა. გადაწყვიტეს, ბჭეები აერჩიათ, რომელთაც მთის ხალხის ჩვეულებისამებრ უნდა მოერიგებინათ.

თემურყო ეხვეწებოდა—ეშველათ რამე, იმდაბლებდა თავს და სამსახურს ჰპირდებოდა. იმან კარგად იცოდა, რომ სულთი ისეთი მტერი გაიჩინა, რომელთანაც შეურიგებელად ყოფნა საფთხილოც იყო და საშიშიც. მაშასადამე, მორიგება ყველაზედ მომეტებულად თემურყოს ეჭირვებოდა.

ჩქარა ამოირჩიეს მოხუც კაცებში ბჭეები და ეს ხელად შეთხუზული მსაჯულნი, რომელთ სიტყვაც გადაუბრუნებლივ უნდა აღსრულებულიყო, პატარა ველზედ გავიდენ და დასხდენ. ესენი თავიანთ ძალასაც ჰგრძნობდენ და თავიანთ მოვალეობაც კარგად ესმოდათ. იცოდენ, რომ იმათ სიტყვაზედ იყო დამოკიდებული საზოგადოების წევრის მათის თემობიდგან გამოკლება, გაღარიბება და სამუდამოდ დაღუპა. ამისათვის, რაც დამნაშავის გამართლებას დახმარდებოდა, ყოველ გვარ საშუალებას აძლევდენ წარმოედგინა; სწონამდენ მის სიტყვებს, ათანხმებდენ მოწმების ნალაპარაკევს და საფუძვლიანის სჯის შემდეგ წარმოსთქვამდენ თავიანთ გადაწყვეტილებას.

თემურყოს ყველა ცუდ კაცად იცნობდა, მაგრამ ეხლა მისი პირადის ზნეობით არავინ ხელმძღვანელობდა, თუმცა დამტკიცებულის დანაშაულისთვის არც არავინ იბრალებდა და მკაცრად სჯიდა.

სხვათა შორის, ბექიაც მოწმად იყო მოწვეული, მაგრამ, რადგანაც ის თავის დაჭრას თემურყოს აბრალებდა, ერთი მსაჯული მიუბრუნდა და უთხრა:

— მოხევეები მთაში განთქმულნი არიან... იმათ ენაც ერთი აქვთ და სიტყვაც, ისინი სიკვდილს ირჩევენ ტყუილის თქმას!... მაშ გაფთხილდი, მოხევევ, თემურყოზედ გულ-მოსულობამ ტყუილი არ გათქმევინოს... ღმერთი დიდია, ის არა სჩანს, მაგრამ ყველას კი ჰხედავს,—გაათავა მოხუცმა.

— რაისთვი ვიმტყუნებ?... თემურყოს ჩემი სისხლი მართებს და მე თავად გარდავუხდი,—უპასუხა მოხევემ.

ამ სიტყვების შემდეგ, შეუდგნენ საქმის გარჩევას და ამისთვის ამორჩეულმა ბჭეებმა გამოჰკითხეს მოწმეებს, სახალხოდ გამოიწვიეს ის პირები, ვინც თემურყოს ცხოვრებაზედ რამე იცოდენ და ამ გვარის სახალხო ჩვენებით ოსის ზნეობაზედ აზრი შეადგინეს. მერე ყველანი მოიშორეს, მარტო ბჭეები დარჩნენ და რამდენსამე ხანს შემდეგ დროშების წკრიალზედ ხალხი ისევ შექუჩდა. ხალხი მოელოდა გადაწყვეტილებას, რომელსაც უარის უთქმელად ყველანი უნდა დაჰყაბულებულიყვნენ, მიეღოთ, როგორც ღვთისგან შთაგონებული გადაწყვეტილება.

— ხალხო! ბოლოს წინ წამოდგა ერთი მოხუცთაგანი,—თემურყო აღმოჩნდა დამნაშავედ... ის გამოდის მუდამ მთხრობელად და ფულის გულისთვის თავის მოძმეთ აძლევს მტერს ხელში... ფულის გულისთვის ჰგმობს პურ-მარილს, კარს, სახლს... არ დაუნდვია არც კაცი, არც ქალი, ოღონდაც თავის გაუმაძღარი თვალი დაეკმაყოფილოს... იფარავს იმისთანა ქურდებს, რომელნიც ჩვენს მოკეთე მეზობელ ხალხსა ჰქურდავენ და ბოლოს ჩვენთან სტუმრად მოსულის მოხევის მოტყუებით, ღალატით და დიაცურად სიკვდილიც-კი განიზრახა... იყოს წყეული ოსი თემურყო!— დაიძახა მოხუცმა და დააჭრიალა დროშა, რომელმაც მსმენელთ ტანში ჟრუანტელი გაუტარა.

*) იხ. «დროება» № 227.

ზედ დარჩნენ, თავისი ხასიათი არ დაჰკარგონ ნოტებზე გადაღებით.

ღმერთმა ჰქნას, რომ ქორიძემ ბედნიერად განაგრძოს მისგან კეთილად დაწყებული საქმე.

ურიგოდ არ ინებებდა, ბატონს ქორიძეს რომ მიეპატიჟნა საზანდრები და იმათგან დაკრულის, ან ნამღერალის ხმებიდგან შეედგინა ნოტებით «კრებული» სიმღერებისა. ურიგოდ არ ინებებდა აგრეთვე, რომ ამავე განზრახვით ემგზავრა ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის სოფლებში და ნოტებზედ გაეღო სოფლური სიმღერების ხმები.

ამითი დიდად ისახელებდა, დიდს ვალს დასდებდა საზოგადოებას და დიდს და ძვირფასს მასალას შეუკრებდა მუსიკის მოყვარეთ.

ჩვენი ქვეყანა, როგორც იტალია, მდიდარია სხვა-და-სხვა სიმღერებით, მათი მუსიკალურის კილოთი და მიმოხვრით. მართალია, ბევრი სიმღერები მოიპოვება, რომელთა კილო და ხასიათი თათრებისაგან, ყიზილბაშთა და ოსმალებისაგან არის მიღებული, მაგრამ ისინი როგორღაც შესთვისებიან ჩვენს ხალხს და სტუმრად აღარ ირიცხებიან.—მათ გარდა, სოფლური და ნამდვილი ქართული სიმღერებიც მრავალია, როგორც ზეითა ვსთქვი და აი, დასამტკიცებლადაც, აქ მომყავს სია იმ სიმღერებისა, რამდენიც მე ვიცოდი და გამახსენდა:

**ხმები, მიღებულნი თათართაგან, ყიზილბაშთა და ოსმალოთაგან:**

1) დოგუში (საჭიდაო), 2) ქარამი, 3) დუგაია, 4) მაჰური, 5) მაჯამა, 6) რასტი, 7) დივანი, 8) ჩარგაია, 9) ჰეიდარი, 10) ნავა, 11) სეგა, 12) ჰუმაია, 13) თასმუხალიფვი, 14) რაჰაბი, 15) შადიანი, 16) შიქასტა, 17) რიზაია, 18) თეჯლიში, 19) მავარანი, 20) ჩონგურჭი ღ ყუშის მასნაფი, 21) ბაიათი, 22) ჩობანბაიათი, 23) კროჟული.

ქართველი საზანდრების სამღერალი ხმები:

1) «მიველ წალკოტს სანუკვშოდ»..
2) «ჰოი, გაბადრულო მთვარევ»!...
3) «შენთან არს გული, მნათობო»!...
4) «ბუნდოვანს გულს შენ აღმიჩნდი»...
5) «შავნი შაშვნი და სხვ.»...
6) «ჭმუნვის მახვილი»...
7) «გამითფრინდა სიხარულის მფრინველი»...
8) «ჰოი დრონო, დრონო!»...
9) ზამტყორცნა სოფელმა, მოვშორდი მზესა»...
10) «როს არშიყი საყვარლისას ხილვას ეშურვებოდეს»...
11) «მჰა ვარდი ვითა გაფურჩქნულია»...
12) «უგვანთა ტრფობა და სხვ.»...
13) «ვარდო, რად ხარ თავ-დახრილი»...
14) «მუხთალმან ამა სოფელმან»...
15) «სულო ბოროტო»!...
16) «ალმართ-ალმართ»...
17) «ახ მთვარევ, მთვარევ»!...
18) «ტანო-ტან-ტანო»...

სოფლებში სხვა-და-სხვა შემთხვევაში და სხვა-და-სხვა დროს სამღერალები:

1) მგზავრული, 2) საჭიდაო, 3) იერიში, 4) მესტვირული, 5) ჰოპუმა, 6) მუშური (მკიდან რომ დაბრუნდებიან), 7) კურდღელი მოწანწალებდა, 8) სუფრული, 9) მაყრული, 10) ჩონგურო, 11) თარიმან შენსა ვენახსა, 12) მუმლი მუხას გარს ეწევა, 13) მუშური (სიმინდის თოხნის დროს გურია-სამეგრელოში), 14) ხელხვავი (იქვე სიმინდის და ღომის კრეფის დროს), 15) ხასანბეგური (გურიაში), 16) ფერხული კაცებისა საქართველოში, 17) ფერხული ქალებისა—იქვე: «დათო, დათო, ჩვენო დათო და სხვ.», 18) ფერხული ქალ-კაცთა სამეგრელოში, 19) ჩონგურზედ დასამღერებელი ხმები გურია-სამეგრელოში ქალებისაგან, 20) ფშაური წყნარი-გაბმული, 21) ფშაური ჩქარი, 22) იავ-ნანა, 23) თამარ-მეფე, 24) «ჰერო, ჰერო, ჩიკრიკო და მწყერო», «ანიშანი, მოგვე ქალი» და სხვანი, 25) ოდელია, 26) «შენ, ბიჭო ახალციხელო», 27) «ორმოში ფეტვი ჩავყარე», 28) «ავთანდილ გადინადირა», 29) «მიყვარს მეგრული ფაცხაო»... და სხვანი მრავალნი.

თუ ამოდენა ხმებისაგან ნათხალიც არის ნოტებზედ გადავიდა შეუშლელად და შეურყვნელად,—ისიც კარგი ბედი იქნება და კარგი მასალა შემდეგისათვის.

ღმერთმა ჰქმნას ჩვენი აზრი და სურვილი ასრულდეს!

თ. რაფ. ერისთავი.

## შინაური ქრონიკა

≈≈ მკითხველებმა იციან, რომ ამ აკადემიურის წლიდამ სოფ. თონეთში, ტფილისის მაზრაში, მანგლისიდამ ოთხს ვერსზე, იხსნება სასოფლო სკოლა, რომლის გამგეობაც სოფელმა «წერა-კითხვის საზოგადოებას» მიანდო. მასწავლებელი კიდეც გაგზავნილია, [illegible], სკოლა ყველა [illegible]თვის საჭირო ნივთებით მომართული და სწავლაც დაწყებულია. პირველში თურმე ხალხი ამ სკოლას უნდობლად ეკიდებოდა და ათი-თორმეტი შეგირდის მეტი არ მოგროვილიყო, მაგრამ ხალხს რაკი დაუნახავს, რომ ახალმეთოდით სწავლა ძველს «ანა-ბანას» არა ჰგავს და ბავშვებიც მალე მიხვდენ წერა-კითხვის პროცესს,—თითქმის ყველას მიუცია თავისი შვილი სკოლაში და ეხლა თურმე ორმოცზე მეტი შეგირდია და ბევრნი უალაგობის გამო გარედ დარჩენილან. ვაჟებთან ერთად ქალებსაც აბარებენ თურმე სკოლაში და თონეთელებს სურვილი გამოუცხადებიათ, რომ ქალებისათვის ხელსაქმის მასწავლებელი ქალი დაიჭირონ და ამისათვის ხარჯს ცალკე ჰკისრულობენ.

≈≈ ჩვენში კორესპონდენტობა ზოგ ადგილას საშიში მოვალეობაა და, როგორც რუსები ამბობენ, მღვრიე წყალში თევზის დამჭერნი უწყალოდ სდევნიან იმას, ვინც კი გაჰბედავს და მათის გმირობის ამბებს გაზეთს შეატყობინებს. მაგრამ ეს საქმე თათრების ქვეყნებში კიდევ უფრო საშიში ყოფილა. თუ აქ კორესპონდენტს ჩხუბს უშვრებიან, ან ლანძღვა-გინებით ჰყრილობენ ჯავრსა, იქ თურმე ნამდვილს ომს უცხადებენ სრულის საბრძოლველის წესით. აი რა საოცარს ამბავსა სწერს გაზ. «კასპიის» მუდმივი კორესპონდენტი ზარდობიდამ: «მე საომარ ფეხზე ვარ დაყენებული; სამის დღის წინად მაცნობეს, რომ ყარადოლაღელი ათაქიშბეგი აგროვებს შუშის მაზრიდამ გავარდნილებს და თავ-დასხმას მიპირებს. წინად კიდევ ჩემმა მოსამსახუ-

---

მოხუცის სიტყვების გათავებაზედ ერთბაშად სამარის მსგავსი სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მხოლოდ ერთს წამს გასწია, თითქოს ხალხის გრძნობას წინ რაღაცა აღუდგა, აღუდგა შეგუბებულს წადილს, მერე ერთბაშად მედგრად გამოხეთქა და გრგვინვასავით გაირბინა ხალხში.

— წყეული იყოს!—მოისმა საერთო ხმა, რომელმაც ყველას გული რაღაცა გრძნობით აავსო, აათრთოლა და აალახლახა; თემურყოს მკვდრის ფერი ედო და ძლივსღა სუნთქავდა.

— დღევანდელ დღეს, მთელი ერის დასწრებით, წმიდა დროშების მოწმობით, ჩვენს თქვენგან არჩეულს ბჭეებს შეგვეიკრავს ოსი თემურყო... დამნაშავე ჩვენმა ერობამ აღარც სახლში მიიღოს, აღარც პური მიაწოდოს, აღარც წყალი, აღარც ცეცხლი... აღარც შემწეობა მისცეს, თუნდ რა გაჭირვებაც უნდა ადგეს!.. დღეის იქით თემურყო შეიქნეს მთელის სხეულიდგან მოკვეთილი ნაწილი!.. ვინც ჩვენში გატეხოს თემის პირი, ვინც ჩვენში ამ გადაწყვეტილებას გადავიდეს, წყეული იყოს!

— იყოს, იყოს!—მოისმა კიდევ.

— სამანი!—დაიძახა იმავ მოხუცმა.

— სამანი, სამანი!—დაიძახა ხალხმა,—მერე წამოავლეს ჯოხებს ხელი, რომლის წვერებიც დედა-მიწაზედ ერთს ადგილს მიიტანეს. ძალზედ ჯოხებზედ დაწოლით შემოტრიალდა ხალხი და ჯოხის წვერები ციბრუტივით წავიდა მიწაში, რომელიც თანდა-თან ორმოვდებოდა. თან მიწა ითხრებოდა და თან ხალხი იძახოდა: «წყეული იყოს, წყეული!»

როდესაც ორმო საკმაოდ მოაგანიერეს, რამდენიმე ბიჭმა მოიტანეს მაღალი გძელი ქვა, ჩასვეს ორმოში და მიწის მიყრით და წყევით გაამაგრეს.

როდესაც ამ სახალხოდ შეკვრასაც მორჩნენ, ისევ ის მოხუცი, რომელიც პირველში ლაპარაკობდა, მიუბრუნდა ოსს:

— თემურყო! დღევანდლამდის ჩვენი ქვეყანა შენთვის გულ-უხვი მასპინძელი იყო, ჩვენი მხრის ხალხი შენთვის თავ-გადადებული, მაგრამ დღეის შემდეგ ჯარიახში მცხოვრებლებისთვის მკვდარი ხარ, ყოველი საქმე შენთან მოსპობილი ექნებათ... სიცოცხლე გრჩება, მაგრამ ჩვენგან ნურარც პურს, ნურარც მარილს, ნურარც ცეცხლს ნუ მოელი... ჩვენი ვაჟკაცები მთაში ყველგან შეატყობინებენ ჩვენს გადაწყვეტილებას.

თემურყო იდგა გაფითრებული, თითქმის მკვდარი; ყურებში, თითქოს ზარებს ურეკავდენ, გონების მდინარება შესწყვეტოდა და ზარ-დაცემული, მთლად გაბრუებული იდგა. ისა ჰხედავდა, რომ მის წინ რაღაცა ხალხი იდგა, რაღასაც იძახოდა, ხმაურობდა, ჰხედავდა, რომ მის გარშემო რაღაცა საზარელი და მძიმე ასატანი გახდა, მაგრამ რა იყო, რა მოსდიოდა, თითონვე ანგარიში ვერ მიეცა.

— თემურყო! კმარა წადი!.. მზის ჩასვლამდის ჩვენს მხარეში შენი ფეხი აღარ იყოს, თორემ ვინც შეგხვდება, ნადირსავით არ დაგინდობს,—უთხრა მოხუცმა, რომელმაც დროშა დაასვენა.

— თემურყო, არ გესმის?—გაუმეორა მოხუცმა, რომელიც ძირს ჩამოვიდა და მათრახის წვერით შეეხო, თითქოს ხელით მიკარებასაც აღარ ჰკადრულობდა. თემურყო შეკრთა, იქაურობას გონება-დაფანტულმა მოავლო თვალი, გადაისვა შუბლზედ ხელი და დაბარბაცდა.

— წადი, გაგვშორდი!

თემურყომ ისევ შეიმაგრა თავი, და თვალებზედ თითქოს ცრემლები გაუბრწყინდა. კაცი ძნელად იტყოდა, ამ წამებში ოსი რასა ჰგრძნობდა: ძნელად იტყოდა—ეს სინანულის შედეგი იყო, თუ იმ გაჭირვებაში ჩავარდნილი კაცის მდგომარეობა, რომელიც ხალხით სავსე ქვეყანაში ყველასგან მოკვეთილია, ყველას მოშორებული.

ოსმა მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვისგანმე შეწყალებას ელოდა, მაგრამ ყველას პირისახეზედ მარტო ზიზღს და შეუბრალებელს გადაწყვეტილებას ჰხედავდა. იმან დაინახა, რომ აქ მისთვის ყველაფერი გადაწყვეტილიყო და ხალხის სურვილი უარის უთქმელად, გადაუბრუნებლად უნდა აღსრულებულიყო.

იმან დაიფარა პირზედ ხელი, გაბრუნდა თავის ცხენისკენ, დაბარბაცდა, შესდგა, კიდევ დაბარბაცდა და ძლივს ღონე-მოკრეფილმა ლასლასით თავის ცხენისკენ გასწია. რამდენსამე წუთს შემდეგ, თემურყო მიაჭენებდა ცხენს, რომ, ვინ იცის, სად გადაკარგულიყო და მოშორებოდა ამ საქვეყნო სირცხვილს და თავის-მოჭრას. ხალხი-კი დაიშალა, რადგანაც დღეობა გათავდა და ციციას მასპინძლებს ძვირფასი სტუმარი მიჰყავდათ, რომ საყვარელს ბექიასთან შეეერთებინათ, ქორწილი გადაეხადათ. მხოლოდ ქორღუყოს და მურთუზას-ღა მოელოდენ, რად-

რეებმა ღამ-ღამე თვალი მოჰკრეს ვილაცაებს, რომელნიც ჩემს კარმიდამოს გარს უვლიდენ. ერთი დაიჭირეს კიდეც და ათაქიშ-ბეგის კაცი გამოდგა, თურმე ადგილ-მდებარეობას სინჯავდენ. წუხელის, შუა-ღამისას, ჩემს სახლს დაცემას უპირებდენ, მაგრამ ბიჭებმა თოფები ესროლეს და იმათაც უკან დაიხიეს. დილის ხუთ საათამდე თოფის ხმა ისმოდა. მე შინიდამ კარში ვერ გამოვდიოდი, ვიცოდი, რომ მომკლავდენ».

≈≈ ხონიდამა გვწერენ, რომ ეს ერთი კვირაა, რაც აქ ინჟინერები მოვიდნენ და გზებსა ჰზომავენ რკინის რელსების დასაგებლათაო. რკინის გზა კი როცა იქნება გვეღირსება, მაგრამ ამაზედ უფრო ადვილს, ტელეგრაფის გამართვას როდის-ღა მოვესწრებით, ეს კი აღარ ვიცითო.

≈≈ ozurgetidan... 

≈≈ ოქიდამვე გვწერენ: «ერთი მამა-პაპური უმეცრება კიდევ შენახულა ხონში. აქაურ მთავარ-ანგელოზის ეკლესის დღეობაში, ყოველ წელიწადს თითო მოსახლემ თითო ძველი მამალი უნდა შესწიროს თურმე ეკლესიას. მოიყვანენ მამალს, შეაწირვიებენ მღვდელს და ამის შემდეგ გამოიყვანს მეპატრონე მამალს, შემოივლებს თავზე და გააფრენს, ამას რამოდენიმე ჭოლოკიანი კაცები დაესევიან და დაიჭერენ მამლებს ან ფეხებ-მომტვრეულსა და ან ცოცხალმკვდარს. თურმე ამ დღეს ეკლესიას მარტო მამლებისგან შემოუვა უკანასკნელი შვიდი თუმანი, თითო მამალი რომ ორ-ორ შაურად ეიანგარიშოდ.

≈≈ «რუსკი კურიერსა» სწერენ თბილისიდამ: «ფინანსთა მინისტრმა ამ ცოტას ხანში გამოგზავნა ორი ჩინოვნიკი კავკასიაში აქციზის საქმის გამოსაკვლევად. ეს საქმე კავკასიაში განსაკუთრებულ პირობებშია, რადგან სპირტს ჭაჭისასა და ხილისასა ჰხდიან. ამ საგანს აქაური სპეციალისტი—აგრონომები დიდს ყურადღებას აპყრობენ და საკუთარი ლიტერატურაცა აქვს. ცნობები და მასალა ბლომად არის, თუ კი აქ გამოგზავნილი ჩინოვნიკები ერთგულად მოჰკიდებენ ხელს მათლამი მინდობილს საქმეს და არ ჩააფუჩეჩებენ ისე, როგორც ეს ჩვეულებათა სჭირთ ოფიციალურად დანიშნულ პირებს.

≈≈ «ბაქოს უწყებები» გვაუწყებენ, რომ კეროსინისა და საზოგადოდ ნავთის ფასი მაღლა აწეულა. ეა ფასების აწევა ზოგი რკინის გზის ბრალია, რომელზედაც დიდ-ძალი ნავთი იზიდება შავის ზღვისკენ, ზოგი იმისი, რომ «დრუჟბა»-ს ამხანაგობის შადრევანი უწინდელებრივ აღარა სცემს ნავთს. უწინ ეს შადრევანი იმდენს ნავთს ისვროდა, რომ ველარ ასდიოდენ და სწვავდენ.

≈≈ ამბობენ ქალაქში სტამბოლიდამ ხვანთქრის გამოჩენილი და უძლეველი მოჭიდავე მოსულა ბლდანელთან საჭიდაოდ.

≈≈ დღეს «დროების» რედაქციის ზალაში დანიშნულია ტერმინების შესამუშავებლად მორიგი კრება.

—

**შეცდომის გასწორება:** გუშინ დელს ფელეტონში დაბეჭდილია: «რომ ესენი ახალ-თაობის კუდები არიან,»—უნდა იყოს: «რომ ესენი ახალ-თაობის კაცები არიან».

## რუსეთი

— პეტერბურგში განუზრახავთ ძველებურს ებრაულს ენაზედ ახალი გაზეთი გამოსცენ.

— გზათა სამინისტროს განუზრახავს ყველა მმართებლობის რკინის გზებზე მეოთხე კლასის ბილეთები დააწესოს.

— ქალების სამკურნალო კურსების მდგომარეობა ეხლა უფრო უკეთესია, ვიდრე ოდესმე. ამის მიზეზი ის არის, რომ სხვა-და-სხვა ერობათ და კერძო პირებს, რომელნიც თანაუგრძნობენ ამ კურსებს, ბლომად შეუწირავთ ფულები. ამ წლის დამდეგს კურსებს 11,000 მანეთზე მეტი ვალი ჰქონიათ; ეხლა კი იმოდენა ფული შემოსულა, რომ ვალიც სულ ერთიანად გადასწყდება და 2,000 მანეთიც კიდევ დარჩება.

— სახალხო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია შეაჩეროს დროებით სწავლა იმ ვაჟების და ქალების გიმნაზიებში და პროგიმნაზიებში, რომლებშიაც წითელით და სხვა გადამდები სნეულობით ავად-მყოფი შეგირდების რიცხვი ნახევარზე მეტი იქნება.

## უცხოეთი

— კაიროდგან იწერებიან გაზეთში, რომ ტოკარში ეგვიპტის ჯარის დამარცხება მართალი არისო. ამ ბრძოლაში ინგლისის ელჩი მანკრიეფი და 486 კაცი ინგლისის ჯარისა მოკლულა; მარტო 14 კაცილა გადარჩნა; აჯანყებული მთიელები სუაკამსაც დაეცნენ, მაგრამ ჯარმა დასძლია და განდევნა იქიდგანაო. ჰფიქრობენ, რომ მთიელნი კიდევ დაეცემიან სუაკამს. მცხოვრებლები იღტვიან. დამარცხებული ინგლისის რაზმი სუდანში მიდიოდა ჯარის მისაშველებლადაო.

— ეგვიპტის მმართებლობას პატარა იალქნიანი გემი გაუგზავნია სუაკამში ზემოდ ხსენებული ელჩის ამბის შესატყობლად.

— ბელგრადიდგან იწერებიან რომ მღვდელი მილოი, რომელიც უკანასკნელი აჯანყების მოთავედ იყო და რომელსაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, რვა წლის წინათაც რეულა ამ გვარს საქმეებში. მისი მოწავე პროფესორი აჯანყებულების რაზმის უფროსად იყო თურმე ბოლევაცთან; იმ გლეხმა კიდევ, რომელსაც მილოისთან ერთად სიკვდილით დასჯა აქვს გადაწყვეტილი, თავის ხელით დახვრიტა სამი კაცი, რადგანაც ამ უკანასკნელთ არ უნდოდათ აჯანყებაში გარეულიყვნენ.

— იქიდგანვე იწერებიან, რომ აჯანყების მოთავენი დიდიჩი და ყიუშიჩი, რომელთაც სამხედრო სამჯავრომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, 7 ამ ნოემბრისას უკვე დახვრიტეს ზაიჩარშიო.

— სერბიაში უკანასკნელი აჯანყების დროს 15 სალდათი მოუკლავთ და 100 დაუჭრიათ აჯანყებულებს; ამათ მხრივაც სამასს კაცამდის მოკლულა.

— ჩინელებს დიდ-ძალი ჯარი შეუგრებიათ კანტონში ვითომ იმისათვის, რომ «შავნი დროშანი» არ შეუშვან ქასცემთ, რათა? იძახდა ხალხი, მღელვარებდა, მაგრამ ახლო-კი ვერ მიჰკარებოდა, რადგანაც შინელიანები მშვიდობიანობის დამცველნი იყვნენ.

---

განაც ამ უკანასკნელის დაჭერაზედ არა იცოდენრა-რა.

### XXII

ქორღუყო კავკავში ჩასვლის უმალვე გავიდა ბაზარში და დაღონებულმა გასწია მგზავრთა სადგურად გამართულის დუქნებისკენ. ვერ მოასწრო რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა, როდესაც ვიღაცა კაცი სალდათის შინელში გახვეული და ხმალ-ჩამოკიდებული წამოეწია.

ამან რამდენჯერმე აათვალიერ-ჩაათვალიერა მოხუცი, რამდენჯერმე გაილიმა იმის დაძველებულს ტანისამოსზედ და თივით გატენილს ვეებერთელა ჩაფხატებზედ და დაღვრემილს პირისახეზედ. მოხუცი მის ფიქრებს ისე მოეცვათ, რომ მიახლოვებულს კაცს ვერ ამჩნევდა.

— შენ ეი! დაიცა,—დაუძახა უცნობმა, მაგრამ მოხუცმა ყური არ ათხოვა.

— არ გესმის, დაიცა-მეთქი!—გაიმეორა შინელიანმა კაცმა და წინ გადაუდგა..

ქორღუყო შესდგა და გაკვირვებულმა ყურება დაუწყო.

— რაი გინდა?

— ვინა ხარ?

— მოხევე.

— იარაღი რად გაკრავს?

— იმისთვი, რო მგზავრადა ვარ, მტერი მყავს.

— შენ არ იცი, რომ ქალაქში იარაღის ტარება აკრძალულია?

— აუ!—გაუკვირდა მოხუცს:—ქალაქი და სოფელი რაი «ბედენაა»?.. იქნება მტერი ქალაქში შემხვდეს?

— კარგია, კარგია, ნუ ყბედობ! მბძანებლის ხმით დაუყვირა შინელიანმა: შემოიხსენ იარაღი!

— რაისთვი შემოვიხსნი, რას რატრატებ?!

— შემოიხსენ-მეთქი!—წასწვდა ხანჯალში უცნობი.

— ზოანით თუ არ გამოხველ?.. რაისთვი შემოვიხსნი? არ დანებდა ქორღუყო. უცნობმა გადმოიტრიალა ხმალი და ქარქაშიანად რამდენჯერმე ძალზედ დაჰკრა.

— მაშ არ შემოიხსნი?

მოხუცი პირველში შეჰკრთა, დაიბნა და გაექცა; უცნობი-კი ცემით მისდევდა და არ უსვენებდა.

ქორღუყოს ანგარიში ვერ მიეცა თავის თავისთვის, ვერ წარმოედგინა, ვინა, ან რისთვის სცარცვავს ამას შუადღისას შუა ქალაქში?..

ვაჭრები გამოცვივნულიყვნენ და ხარხარით შეჰყურებდენ ამ სურათს. მოხუცს შერცხვა, რომ ერთს კაცს, რომელსაც მოეწადინა ასეთის უსამართლოს ძალის ხმარება, ექცეოდა; გაბრაზებული ერთბაშად შესდგა, წუთზედ გადმოიბრუნა თოფი და შესძახა:

— «მეხსენ», ღთის მადლმა, თორემ ეხლავ გაცივებ!

უცნობს ფერი ეცვალა; შესდგა და ხელები ჩამოუცვივდა. ხალხმა მეტად დაიწყო ხარხარი და მოხუცი-კი გაბრუნდა დუქანში შესასვლელად. ამ ხანში შინელიანი გონს მოვიდა, რაღაცა გინება და მუქარა წაიდუდუნა და უბიდგან კალის პატარა სტვირი ამოიღო, რომელშიაც ძალზედ ჩაბერა. გაისმა უსიამოვნო სტვენა, რომელიც ჰაერში ქლრიალით გაიფანტა. რამდენსამე წუთს უკან, იმას მოსცეს ამავე გვარის სტვირებით ხმა და კიდევ ორიოდ წუთს უკან, რამდენიმე კაცი, უცნობსავით ჩაცმულნი, ქორღუყოს გარს შემოეხვივნენ, დაიჭირეს და დაუწყეს უწყალოდ ცემა.

წელან მოხარხარე ხალხში სიცილი ერთბაშად შესწყდა და ჯგუფ-ჯგუფად მიეხვივნენ მოჩხუბარს.

— მოჰკლეს, მოჰკლეს!.. რათა სცემთ, რათა? იძახდა ხალხი, მღელვარებდა, მაგრამ ახლო-კი ვერ მიჰკარებოდა, რადგანაც შინელიანები მშვიდობიანობის დამცველნი იყვნენ.

ქორღუყოს თავ-პირიდგად თქრიალით სისხლი ჩამოსდიოდა და ამ დროს ხელებს ძალზედ უკრავდენ, რომ ბრიყვს და მოუსვენარს მოხევეს თავის საკუთრების დაცვა ველარ გაებედნა.

მოხუცმა სევდიანი თვალი მოავლო იქაურობას, შეჰხედა იქ მყოფს ხალხს და მწუხარედ, გულ-დაწყვეტილად წამოიძახა:

— რაისთვი მკლენ, ხალხი არა ხართ? სამართალი აღარაა?.. აჰუ თქვენს ნამუსს!..

ეს სიტყვები ქორღუყოს მუჯლუგუნის წაკვრამ გააწყვეტინა. ის გაიგდეს წინ, რომ სამსჯავროში წარედგინათ, როგორც ფრიად დიდი ავზაკი, მშვიდობიანობის დამრღვევი და მმართველთა წინააღმდეგობის გამწევი.

ა. მოჩხუბარიძე.

(შემდეგი იქნება)

ლაქში, როდესაც საფრანგეთის ჯარები განსდევნიან მათ ტონკინიდგან.

— ჩინეთის ელჩის მარკიზ ძენგის შესახებ ფრიად სანუკარი ცნობებია ერთს კატოლიკის გაზეთში მოყვანილი. ამ ცნობებიდგან სჩანს, რომ მარკიზ-ძენგი იეზუიტია; იმას განათლება მიუღია იეზუიტების მისიონერებისაგან, ჩარიცხულა მათს ორდენში და შემდეგ ისევ თავი დაუნებებია სასულიერო წოდებისათვის. ამას გარდა გაზეთი ამტკიცებს, რომ მარკიზ-ძენგის მშობლებიც კათოლიკები ყოფილან. ესეც შესაძლებელია, რადგანაც დიდიხანია, რაც იეზუიტების მქადაგებლები ჩინეთში ქრისტიანობას ავრცელებენ და ადვილად მოსასაზრებელია, რომ ძენგის მშობლებიც გაექრისტიანებინოთ. ამავე გაზეთის სიტყვით, ძენგი ეხლაც კატოლიკეა და რაც შეეხება იმის «მარკიზის» ხარისხს, ჩინეთში ამ გვარი ხარისხი არ არის და ამისათვის უნდა ვიფიქროთ, რომ ძენგმა ეს ხარისხი თავისთავად მიუმატა თავის სახელსაო. — თუ ყველა ეს მართალიაო, — სწერს ერთი ფრანცუზული გაზეთი, — ფრანცუზებს დიდი სიფთხილე მართებთო, რადგანაც ადვილად შესაძლებელია, რომ იეზუიტმა-დიპლომატმა რესპუბლიკის დიპლომატები მოატყუოსო.

— თუ სადამდის მიაღწევა ფრანცუზების სიძულვარე ნემცებისადმი, იქიდამა სჩანს, რომ ამ დღეებში პარიჟის ერთ ბულვარზე წლიური იარმარკა უნდა მომხდარიყო. ამის გამო პოლიციის უფროსმა მისწერა პოლიციის კომისარებს, ის — ვინც არ დაამტკიცებს, რომ საფრანგეთის ქვეშევრდომია, იარმარკაზე არ მიუშვათო. ამას გარდა, ფრანცუზული გაზეთები ჰკიცხავენ იმ ფრანცუზებს, რომელნიც სხვა სახელმწიფოების საქმეებს ახმარებენ თავიანთ ფულის თანხებს, და თხოულობენ, რომ ფრანცუზების ფული ან უთუოდ ნაციონალურ საქმეებს მოხმარდეს, ან არა და მარტო იმისთანა მეგობარი სახელმწიფოს საქმეებს, როგორიც არის რუსეთიო. მაგალითად, გაზეთები საშინლად ჰკიცხავენ იმ ფრანცუზებს, რომელთაც მონაწილეობა აქვსთ მიღებული ესპანიის ჩრდილოეთის რკინის გზის კეთებაში, და ამბობენ, რომ ეს დიდი შეცდომა არის ფრანცუზების მხრივ, რადგანაც ესპანია ემზადება დიდის ამბით მიიღოს გერმანიის მემკვიდრე პრინციო.

— საფრანგეთის სამინისტროს თავსმჯდომარეს ჟიულ-ფერის განუზრახავს ესპანიის მეფეს ალფონს XII ვიზიტი გადაუხადოს და ამის გამო ამ ცოტას ხანში აპირობს თურმე ესპანიაში წასვლას.

თუ ეს ხმა მართალი გამოდგა, უეჭველია, საფრანგეთსა და ესპანიას შუა ისევ თანხმობა ჩამოვარდება.

— როგორც გაზეთებიდამ ვუწყით, ესპანიის ელჩად საფრანგეთში დაინიშნა საფრანგეთის ერთი საუკეთესო მეგობართაგანი, მარშალი სერრანო, და ამით მთელი საფრანგეთი ასიამოვნა ესპანიის მეფემ. როდესაც მეფე ალფონსი ისტუმრებდა თურმე სერრანოს საფრანგეთში, უთხრა: «დაარწმუნე საფრანგეთის მმართებლობა, რომ აქ სრულიად არავინ არ ფიქრობს რაიმე კავშირის შეკვრაზედ, — გამოუცხადე, რომ ესპანიის ხალხს და მის მეფეს ისე არაფერი არა ჰსურსთ, როგორც საფრანგეთის რესპუბლიკის მეგობრად ყოფნა, თუ ის თვითონ ესპანიის გულ-წრფელი მეგობარი იქნება.»

# განცხადებანი


თბილისის მეხუთე უბანსტკაში შუა ბაზარში არის ქირით გასაცემი სირაჯის დუქანი, კარგათ გამართული თავის პადვალით; ვისაც ნებავს დაიჭიროს, მოვიდეს პატრონთან ქვრივ მარიამ ტერუნოვთან მოსარიგებლად, მთაწმინდის მოედანზე კობერიძის სახლი № 2. (1—1)

Объ изданiи въ 1884 году газеты

## „КАСПІЙ“

Въ гор. Баку.

(Годъ четвертый)

*Съ 1-го января 1884-го года*

«Каспій» будетъ выходить ежедневно, кромѣ дней послѣпраздничныхъ.

Подписная цѣна съ пересылкой въ другiе города: на годъ 8 руб. 50 коп.; на полгода 5 руб.; на три мѣсяца 3 руб.; на 1 мѣсяцъ 1 руб. 50 коп.

Иногородные обращаются: въ редакцiю газ. «Каспій» въ Баку.

Редакцiя, по прежнему, будетъ стараться знакомить своихъ подписчиковъ со всѣми новостями мѣстнаго нефтянаго дѣла, а также давать точныя свѣдѣнiя о вывозѣ нефти и ея продуктовъ моремъ и по желѣзной дорогѣ. (3—1)

## პ. წულუკიძის სტამბა

ქუთაისში

იბეჭდება და გამოვა 15 დეკემბრისსათვის ქართული «კედლის კალენდარი», სადაც იქნება სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები.

ფასი სამი აბაზი

ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივა.

——

ისყიდება

«ვეფხის ტყაოსანი» შ. რუსთველის თხზულება სურათით, ათი შაური, უსურათოდ შვიდი შაური ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივა. (30—3)

გაზეთ «კავკაზის» რედაქციაში ისყიდება

«საქართველოს სამოთხე»

ფასი 17 მანეთი — გამომწერი და მყიდავი მიიღებს ამ წიგნსათანავე კვიტანციას, რომლისა ძალით შემდეგ გამოცემისა უფასოთ მიიღებს მზა-მეტყველებას ანტონ კათალიკოზისა და საქართველოს საეკლესიო ისტორიის არსენი კათალიკოზისა. (3—3)

## ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდის. კიდევ შემდეგი ნივთები ისყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაღნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწურავები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშეები, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბადო მაკრატლები, გაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, [illegible] ნარიმდები, გაპსიულები, [illegible], ბები, კატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—25)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 ს. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| – — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, გლეონკა, წინდები — კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—68)

## ქუთაისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა.

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით, ქვემო აღნიშნულს დღეებს, დილის თორმეტს საათზე, ქ. ქუთაისს, ბანკის სამმართველოში (ქარავან-სარაის ქუჩა, ხარაზოვების სახლები), საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სასესხო გადასახადი არ შემოუტანიათ.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე 19 §-ის თანხმად, შეავსებენ ბანკის სასესხო გადასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდამ ზედ დამატებით სხვა და სხვა შეუვსებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნვაზედ ხარჯების და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის მაგივრად დაუხარჯავს. ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირავოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად; ხოლო ვადაზედ გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სასესხო ფული შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შედგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძვლით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 11 იანვარს 1884 წლისა.

ვაჭრობა 20 დეკემბერს 1883 წელს.

$18^7/_{20}$ წლიანნი სესხნი.

ქ. ქუთაისს.

დარახველიძისა, მიხეილ მერისტოს-ძის, აზნაურისა: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი: ერთი ორ-ეტაჟიანი, ხოლო მეორე ერთ-ეტა-

(ნახე მეხუთე გვერდი)